ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

2012–2013 სასწავლო წლის ანგარიში

2012–2013 სასწავლო წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა შემდეგი მიმართულებით წარიმართა:

I. საგანმანათლებლო პროგრამები

II. სასწავლო პროცესის მონიტორინგი

III. სტუდენტთა გამოკითხვა

IV . სხვა სამუშაოები

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1. განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების კოდირება;

2. შემუშავდა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდა ყველა საფეხურის საგამნათლებლო პროგრემების მოკლე ვარიანტი სასწავლო გეგმებთან ერთად. ამჟამად მიმდინარეობს მისი ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა.

3. ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით, აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ცვლილებები შევიდა თითქმის ყველა აკრედიტებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაში;

4. ბსუ–ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და აკადემიური ექსპერტიზის პროცედურის დაცვით შემუშავდა და პროგრამული აკრედიტაცია გაიარა შემდეგმა პროგრამებმა:

საბაკალავრო: ფარმაცია, არქიტექტურა, ეკონომიკა, ფინანსური მათემატიკა, გამოყენებითი ფიზიკა, კომპიუტერული მათემატიკა, თარგმანცოდნეობა;

სამაგისტრო: რადიოფიზიკა,ბიზნესინფორმატიკა,ეთნოლოგია;

სადოქტორო: ეკონომიკა, ბიორგანული ქიმია, თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები), განათლება, ისტორია

5. მილევად რეჟიმში მყოფი მესამე საფეხურის სტუდენტთათვის (სულ 29) მომზადდა და 1 წლის ვადით აკრედიტაცია მიენიჭა: აგროტექნოლოგიის, სასურსათო ტექნოლოგიის, სატყეო საქმის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, აგროინჟინერიის და კომპიუტერული ტექნოლოგების პროგრამებს.

6. ამ კატეგორიის სტუდენტთათვის შემუშავდა და ბსუ–ს აკადემიური საბჭოს №49 (26.04.2013) დადგენილებთ დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი. მომზადდა თავსებადობის დასკვნები.
7. საქმის წამოება მიმდინარეობს საბაკალავრო პროგრამის „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ აკრედიტაციის მიზნით. განათლების, ჰუმანიტარული და ჯანდაცვის მიმართულების მზადების პროცესშია ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროსგან მიღებული თანხმობით ინგლისური

ფილოლოგიისა და სამკურნალო საქმის პროგრამები განხორციელდება ინგლისურ ენაზე.

II. სასწავლო პროცესის მონიტორინგი

1. სამსახურმა მოამზადა და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ბსუ–ს პროფესორ–მასწავლებელთა და სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი (იხ.დადგენილება №14. 1.03.2013) ;

2. განხორციელდა სასწავლო პროცესის სისტემატური მონიტორინგი ლექციებზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე დაკვირვების გზით;
3. შუალედური/დასკვნითი გამოცდების შეფასების ანალიზი.

4. სტუდენტთა ნაშრომების (ლექტორის მიერ უკვე შეფასებული) ექსპერტიზა;
5. შუალედური/დასკვნითი საგამოცდო მასალის ექსპერტიზა;

6. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეები, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციებთან ერთად, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურებმა დეტალურად გააცნო ფაკულტეტების ადმინისტრაციასა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია 2012–2013 სასწავლო წელი მე–2 სმესტრის I რეიტინგული შეფასების ანალიზი, რომელიც უნივერსიეტის ადმისტრაციამ, სააქტო დარბაზში, დეტალურად გააცნო ბსუ–ს პროფესორ–მასწავლებლებს;

7. 2012–2013 სასწავლო წლებში მიმდინარე სასწავლო პროცესების მონიტორინგის დაკვირვებისა შედეგები რეკომენდაციებთან ერთად ხარისხის სამსახურმა წარადგინა ბსუ–ს აკადემიური საბჭოს წინაშე.

8. საამსახურის ინიციატივით ცვლილებები შევიდა ბსუ–ში მოქმედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ რეგულაციები;

III. სტუდენტთა გამოკითხვა

1. უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების თვითშეფასების მიზნით სამჯერ ჩატარდება სტუდენტთა გამოკითხვა. ელექტრონული ფორმით გამოიკითხა სტუდენტთა 50 %–ზე მეტი;

2. გამოკითხვის შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააცნო დეკანატებს, სასწავლო დეპარტამენტებსა და ბსუ–ს ადმინისტრაციას.

3. სპეციალურად შედგენილი კითხვარით გამოიკითხა სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები. სტუდენტების მიერ დასმული პრობლემების სრულყოფილი აღქმისა და რეაგირების მიზნით სააქტო დარბაზში შედგა მაგისტრებთან შეხვედრა;

4. გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შეიმუშავა რაკომენდაციები, რომელიც განსახილველად გადაეცა ბსუ–ს აკადემიურ საბჭოს.

IV . სხვა სამუშაოები

1. ყველა ფაკულტეტის სამდივნოს, სპეციალურად შემუშავებული ფორმით, მიეწოდა სრულყოფილი ინფორმაცია ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ(დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, საკვალიფიკაციო და საუნივერსიტეტო კოდები, კრედიტების მოცულობა, აკრედიტაციის/ავტორიზაციის მინიჭების თარიღები და ა.შ);

2. სამსახურის კოორდინირებით განახლადა ბსუ–ს ვებგვერდზე განთავსებული აკადემიური პერსონალის CV-ები;

3. მითითებულ ვადებში განხორციელდა 2013–2014 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული პურველკურსელების ერთიან რესტრში რეგისტრაცია.

4. პროფესორ–მასწავლებლებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია ახალი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმის გაცნობის მიზნით.

5. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მომზადდა და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2013 წლის მაისსა და ივნისში წარედგინა ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 2013 წლის თვითშეფასების ანგარიშები.

6. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში(№56, 20.04.2011)ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვრა პროფესორის ასისტენტობის, სემინარის და კოლოქვიუმის ჩატარების წესი, შეფასება, მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და ა.შ.

7. მომზადდა და სსიპ ხარისხის განვითერების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იქნა განაცხადი ავტორიზაციით დადგენილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 მარტის №12 გადაწყვეტილებით ბსუ–ს სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა 6 000–ით.

8. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს,ხარისხის განვითერების ეროვნულ ცენტრის ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინასების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ არაერთ ტრეინინგსა და სემინარში, რომელიც ეხებოდა პროფესიული პროგრამების სტანდარტების, ასევე სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა ერთიანი სახელმწიფო ბაზის შექმნას. ტურიზმის მიმართულების პროფესიული სტანდარტების პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული სემინარი ჩატარდა ჩვენს უნივერსიტეტში.

8. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ხარისხის განვითერების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით თბილისში ჩატარებულ (2013 წლის 12–13 აპრილს; 20–22 დეკემბერი) კონფერენციებში– „საერაშორისო საგანმანათლებლო კვლევები– საქართველო გლობალურ კონტექსტში“ და „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ხედვა“.

9. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა პროფესიულ პროგრამებზე მისაღები გამოცდები.

10. სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აბიტურიენტთათვის ჩატარებულ ღია კარის დეებში;